საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1065 2016 წლის 9 ივნისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფიზიკური პირებისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების დანართით განსაზღვრულ ფიზიკურ პირებს, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეთ ამავე დანართით განსაზღვრული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

2. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში;

ბ) ამ განკარგულების დანართში მითითებული ფიზიკური პირების მხრიდან სახელმწიფოს მიმართ ქონებრივი ან სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაზე, ასევე ყოველგვარ მოთხოვნაზე, საჩივარსა და სარჩელზე უარის თქმა, როგორც საქართველოს საერთო სასამართლოებში, ისე ნებისმიერი სხვა ქვეყნის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ან/და არბიტრაჟში.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დანართი:

N	უძრავი ქონების დასახელება	შემძენი
1	ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N39-ში, სადარბაზო N1, ბინა N16-ში მდებარე 87.10 კვ.მ. ფართი (ს/კ 01.14.06.007.017.01.01.016)	მარინე მამაცაშვილი (პ/ნ 01006009124)
2	ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N39-ში, სადარბაზო N2, ბინა N42-ში მდებარე 81.40 კვ.მ. ფართი (ს/კ 01.14.06.007.017.01.01.042) და სადარბაზო N2, ბინა N43-ში მდებარე 76.50 კვ.მ. ფართი (ს/კ 01.14.06.007.017.01.01.043)	მარინე რუაძე (პ/ნ 13001027369)